

ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი, სამართლიანი, ურთიერთხელშემწყობი სოფლის მეურნეობისა და სურსათის პოლიტიკისკენ

ამონარიდი “ევროპის სურსათის დეკლარაციიდან”

ჩვენ ვართ ორგანიზაციების ფართო სპექტრი – იხილეთ სია “**ვინ ვართ ჩვენ**” – დაინტერესებულნი სურსათის და სოფლის მეურნეობის მომავლით ევროპაში. მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, იზრდება ბაზრის საკითხებზე მომუშავე და უფრო გამძლე საკვებ სისტემებზე ორიენტირებული ხალხისა და ორგანიზაციების რიცხვი. მათ შორის ბევრი აქტიურადაა დაკავებული საკვები პროდუქტების წარმოების, დისტრიბუციის და მოხმარების სიცოცხლისუნარიანი ალტერნატივების შექმნით – რამეთუ ეს პროცესი უნდა განვითარდეს ქვემოდან ზემოთ. კვების მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ეს ახალი სისტემა მყარადაა დაფუძნებული თანასწორობაზე, სურსათის საყოველთაო სამართალზე, კარგ მართვასა და გამჭვირვალობაზე.

ევროპაში გამოჩნდა და კიდევ უფრო იზრდება ისეთი ახლებური მიდგომების ფართო სპექტრი, როგორცაა ადგილობრივი კვების პროდუქტები, ადგილობრივი ბაზრები, ადგილობრივი შესყიდვები, მარცვლეულის გაცვლა და ასე შემდეგ. ახალი პროცესები, როგორცაა ქალაქებში მიმდინარე გარდაქმნები, გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქტისთან თავისუფალი რეგიონები და ნაციონალური და ადგილობრივი დისკუსიები კვების მრეწველობის პოლიტიკაზე გვაჩვენებს მზარდ ადამიანურ მხარდაჭერას კვების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განსხვავებული ფორმებისადმი.

და მაინც, ჯერ კიდევ არაა საკმარისი ხალხის ძალისხმევა და ადგილობრივი პროცესები. ჩვენ გვჯერა, რომ დროა შევქმნათ ფართო ჯგუფების კოალიცია ევროპის დონეზე, რათა გავეზიაროთ გამოწვევა როგორც არსებული სოფლის მეურნეობის პოლიტიკას (CAP), ისე ევროკომისიისა და ჩვენი მთავრობის აღიარებულ გეგმებს, რითაც საფუძველი ჩაეყრება განახლებულ “CAP”-ს 2013-ში. ამ ხედვის მიზანია, დაიცვას ევროპის კვების ინდუსტრიის გლობალური კონკურენტუნარიანობა - რაც წარმოადგენს ევროპის “CAP”-ის უმთავრეს მიზანს. საფუძველი ეყრება პოლიტიკურ პროცესს “CAP 2013-სთვის”. ჩვენ გვჯერა, რომ ძლიერი გზავნილი არის საჭირო პოლიტიკის შემქმნელებისთვის არა მხოლოდ ევროპაში, არამედ ჩვენს ქვეყანაში – “CAP”-ის ხედვა საჭიროა 21-ე საუკუნისთვის.

ჩვენ შევქმენით “ევროპის კვების დეკლარაცია: ჯანმრთელი, კონკურენტუნარიანი, სამართლიანი, ურთიერთხელშემწყობი სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის პოლიტიკისკენ”. მასში საზგასმულია ჩვენი ძირითადი მოსაზრებები, პოლიტიკის მიზნები მომავალი ათწლეულის “CAP”-ისთვის. ჩვენ ვიწვევთ როგორც ორგანიზაციებს, საზოგადოების ჯგუფებს და ინდივიდებს, შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად შეუწყონ ხელი ამ დეკლარაციის ხელისმწერის პროცესს და გამოიყენონ ის როგორც იარაღი, რათა ხელი შევეწყოთ დისკუსიას კვების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკის შესახებ, რომელიც ჩვენ გეჭირდება. ჩვენ აგრეთვე გთხოვთ, რომ გადაუგზავნოთ ეს დეკლარაცია სხვა ხალხს, სამოქალაქო საზოგადოებას,

გარემოსდამცველ ინსტიტუტებს და კვების მრეწველობის ორგანიზაციებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული უკეთესი კვების მრეწველობის სისტემის შენებაში.

ჩვენი მიზანია, მოვაგროვოთ მეტი ხელმოწერა სხვადასხვა ქსელების დონეზე 2010 წლის თებერვლის ბოლომდე. თებერვლის დასაწყისში ჩვენ მოვიწვევთ საზოგადოებას დეკლარაციაზე ხელის მოსაწერად.

ეს დეკლარაცია არის პირველი ნაბიჯი ჩვენს ერთიან ძალისხმევაში, რომ ავაგოროთ ფართო მოძრაობა და შეიცვალოს მიდგომები სურსათის პოლიტიკის და პრაქტიკის მნიშვნელობისადმი ევროპაში, ევროკავშირში. ჩვენ აგრეთვე ვგეგმავთ ევროპის ფართო ფორუმის ორგანიზებას 2011-ში ხალხისთვის და ორგანიზაციებისთვის, რომლებიც შეხებაში არიან ამ საკითხებთან და რომლებიც მზად იქნებიან, შეუერთდნენ ჩვენს ძალისხმევას, რათა ერთად მივალწიოთ ჩვენს საერთო მიზნებს. თუ ხართ დაინტერესებული და გსურთ ჩაერთოთ ამ ფორუმის მომზადებაში, ან შეგიძლიათ დაგვეხმაროთ მის ორგანიზებაში, დაგვიკავშირდით.

ევროპის სურსათის დეკლარაცია

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერებს გვჯერა, რომ ევროკავშირმა ბრძოლა უნდა გამოუცხადოს გადაუდებელ გამოწვევებს და, რომ ევროპამ უნდა გაითვალისწინოს კვების მრეწველობის და სოფლის მეურნეობის მოთხოვნები.

სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის ინდუსტრიალიზაციის ნახევარი საუკუნის შემდეგ, მდგრადი ფერმერული/შინამეურნეული მიწათმოქმედება და ადგილობრივი საკვები კულტურები არსებითად შემცირდა ევროპაში. დღეს, ჩვენი კვების მრეწველობის სისტემა დამოკიდებულია დაბალ-ფასიან გამარხებულ საწვავ პროდუქტებზე; იგი არ ცნობს წყლისა და მიწის რესურსების შეზღუდვებს, და მხარს უჭერს არაჯანსაღ კვების სისტემებს, ცნობილს მაღალი კალორიებით, ცხიმოვანი და მარილიანი საკვებით, ხილის, ბოსტნეულის და მარცვლეულის დაბალი შემცველობით. თუ სამომავლოდ შორს გავიხედავთ, მივხვდებით, რომ ენერჯო რესურსების ფასების ზრდა, ბიომრავალფეროვნების მდგომარეობის გაუარესება, კლიმატის ცვლა და წყლისა და მიწის რესურსების კლება საფრთხეს უქმნის საკვები პროდუქტების მომავალს. ამავდროულად, მსოფლიოს მზარდი მოსახლეობა პირისპირ დგას ფართოდ გავრცელებული რისკების წინაშე, როგორცაა შიმშილი და ქრონიკული დაავადებების ზრდა, გამოწვეული რესურსების გადაჭარბებული, არამალთხომიერი მოხმარებით.

ჩვენ შეგვიძლია წარმატებით გავუმკლავდეთ ამ გამოწვევებს მხოლოდ კვების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და პრაქტიკებისადმი სრულიად განსხვავებული მიდგომის პირობებში. ევროკავშირმა უნდა აღიაროს მდგრადი ოჯახური მიწათმოქმედების კრიტიკული როლი საზოგადოების საკვებით მომარაგების საქმეში და მხარი დაუჭიროს ამ ინიციატივას. ყველა ადამიანს უნდა გააჩნდეს ჯანმრთელ, უსაფრთხო საკვებ პროდუქტთან ხელმისაწვდომობა. საკვების მოყვანის, სურსათის განაწილების, მომზადების და საკვების მიღების სხვადასხვა გზები უნდა ითვალისწინებდეს ევროპის კულტურულ მრავალფეროვნებას და უზრუნველყოფდეს ჯანსაღი საკვების თანასწორ და მდგრად განვითარებას.

ამჟამად მიმდინარეობს “CAP”-ის განხილვა და დებატები, რათა მოხდეს მისი შეცვლა 2013-წლისთვის. კვების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკის განსაზღვრაში ტრანსნაციონალური კორპორაციების და მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის დომინანტური როლის შემდეგ დადგა დრო, რომ ხალხმა მოახდინოს ევროპაში სოფლის მეურნეობის და სურსათის პოლიტიკის გადაფასება: დადგა დრო, ვაღიაროთ სურსათის/კვების მრეწველობის უპირატესი მნიშვნელობა. ჩვენ გვჯერა, რომ ახალი, საყოველთაო და ერთიანი კვების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკა უნდა გახდეს ევროკავშირის და კანდიდატი ქვეყნების დაცვის გარანტორი, რომელმაც უნდა განამტკიცოს ხალხის უნარი და უფლებები, რათა თავად განსაზღვრონ პროდუქციის წარმოების, დისტრიბუციის და მოხმარების საკუთარი მოდელი, რომელიც ემყარება ქვემო მოცემულ პრინციპებს.

კვების მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ახალი პოლიტიკა:

1. აღიარებს სურსათს, როგორც საყოველთაო ადამიანურ უფლებას, არამარტო როგორც საქონელს.
2. ანიჭებს პრიორიტეტს ევროპისთვის საკვების და სურსათის წარმოებას და შეაქვს ცვლილებები საერთაშორისო სასოფლოსამეურნეო პროდუქციით ვაჭრობის საქმეში თანასწორობის, სოციალური სამართლიანობისა და ეკოლოგიური მდგრადობის პრინციპებზე დაყრდნობით. “CAP”-ი არ წარმოადგენს საფრთხეს სხვა ქვეყნების კვების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სისტემებისათვის.
3. ხელს უწყობს ჯანსაღი საკვების პრინციპების დანერგვას, მცენარეულ საკვებზე დაფუძნებული კვების ჩვევის შემოტანას; კონცენტრირებულია ხორცის მოხმარების შემცირების, სწორედ გადამუშავებული, ენერგიითა და ცხიმოვანი უჯრედისით გამდიდრებული საკვების მიღების მოდელის დანერგვაზე, თუმცა ყოველივე უნდა განხორციელდეს რეგიონალურ კულტურული სამხარეო ჩვევებისა და ტრადიციების პატივისცემის პირობებში.
4. ანიჭებს პრიორიტეტს სოფლის მეურნეობას და მხარს უჭერს მის განვითარებას მთელს ევროპაში პროცესში მრავალი ფერმერის ჩართვით, რომლებიც აწარმოებენ საკვებს და ამავდროულად ზრუნავენ გარემოზე. ამ პროცესში წარმატების მიღწევა შეუძლებელია, თუ არ იქნება პროდუქციაზე სამართლიანი ფასები, რაც წარმოადგენს ერთის მხრივ ფერმერებისა და სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის სამართლიანი შემოსავლის მიღების, ხოლო მეორეს მხრივ მომხმარებლებისთვის სამართლიანი ფასების გადახდის წინაპირობას.
5. უზრუნველყოფს ფერმერებს და სოფლის მეურნეობის მუშაკებს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში სამართლიანი, არადისკრიმინაციული პირობებით და წარმოადგენს მიწის თანაბარი და სამართლიანი ხელმისაწვდომობის გარანტიას.
6. პატივს სცემს ადგილობრივ და გლობალურ გარემოს, ებრძვის მიწის და წყლის გამოლევადი რესურსების არამართლზომიერ მოხმარებას, ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნების ზრდას და პატივს სცემს ცხოველთა/პირუტყვის კეთილდღეობას.
7. წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ სოფლის მეურნეობა და სურსათის წარმოება იყოს თავისუფალი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისგან, (გმო) ხელს უწყობს

- ფერმერების წარმოებული თესლების გამოყენებას, შინაური პირუტყვის მრავალფეროვანი ჯიშების მოშენებას, ადგილობრივი ცოდნის გამოყენებით.
8. კრძალავს სამრეწველო აგროსაწვავების გამოყენებას და წარმოებას და პრიორიტეტს ანიჭებს ზოგადად ტრანსპორტის შემცირებას.
 9. უზრუნველფოს გამჭვირვალობას საკვების წარმოების მთელი ჯაჭვის პროცესში, რაც ეხმარება მოსახლეობას, იცოდეს თუ როგორ და საიდან არის საკვები წარმოებული, რას შეიცავს იგი და რა შედეგს მომხმარებლების მიერ გადახდილ ფასში.
 10. ასუსტებს ძალაუფლების კონცენტრაციას და გავლენას როგორც სოფლის მეურნეობაში, სურსათის გადამამუშავებელ და საცალო ვაჭრობის სექტორში, ისე წარმოების და მოხმარების პროცესში და, ხელს უწყობს იმგვარი სურსათის წარმოების სისტემების დანერგვას, რაც ამცირებს მანძილს ფერმერსა და მომხმარებელს შორის.
 11. ხელს უწყობს ადგილობრივი, სეზონური, მაღალ-ხარისხიანი პროდუქციის წარმოებას და მოხმარებას, რაც კიდევ უფრო მჭიდროდ აკავშირებს მოსახლეობას საკვებთან და საკვების მწარმოებლებთან.
 12. უზრუნველფოს რესურსების გამოყოფას ბავშვებისათვის საჭირო უნარებისა და ცოდნის გადაცემისათვის, რათა დაეხმაროს მათ ჯანსაღი და სასარგებლო საკვების წარმოების, მომზადების, და მიღების წესების დაუფლებაში.

მომზადებულია ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაციის მიერ
ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია, AFRD

კახა ნადირაძე, ასოციაციის პრეზიდენტი

ნანა ფიროსმანაშვილი, აღმასრულებელი დირექტორი

კირა ჩოქური, ირაკლი კოჭლამაზაშვილი, დანი ჯღუნიაშვილი, ზურაბ გონიაშვილი

ლევან სირბილაძე, გიორგი ფონხიძე, გიორგი ქაჩლიშვილი